საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

# არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმაურებიან 14 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს-ს) მიერ გავრცელებულ კომენტარს 7 ივლისს მესტიაში ჩატარებული ოპერაციის შესახებ

ოთხი ორგანიზაცია - "ადამიანის უფლებათა ცენტრი", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", "სამართალიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საზოგადოება" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - ვეხმაურებით შსს-ს მიერ 14 ივლისს გაკეთებულ განცხადებას და უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოს ძალისხმევას, ებრძოლოს უკანონობას და კორუფციას ქვეყანაში და მზად ვართ ამ ბრძოლაში მაქსიმალური წვლილი შევიტანოთ.